ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6684693

ნომერი: AR1990316

თარიღი : 18.09.2023

გაცემის თარიღი : 28.09.2023

გაცნობის თარიღი : 28.09.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალ. ქართველიშვილის N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის გამრეკელი პ/ნ 01008003148
- თბილისი დელისის ქ.7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 18 სექტემბერს №AR1990316 განცხადებით მომართა ბორის გამრეკელმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის №6290182 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის №6290182 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ალ. ქართველიშვილის №8-ში მდებარე №81.08.19.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწარმოო შენობის (ქარხანა) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 18 იანვრიდან 2023 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის №6290182 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს შეთანხმებული მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკიდან I-VI, X ეტაპების ამოღება და შესაბამისად, მშენებლობის ვადის ცვლილება. ამასთან, შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტისა და კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლება წარმოდგენილით.
სამსახურმა წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2022 წლის 1 დეკემბრის №AR1934082 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, ქ. თბილისში, ალ. ქართველიშვილის №8-ში მდებარე №81.08.19.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქარხნის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკი, რომლებითაც განსაზღვრულია მშენებლობის 8 ეტაპი და მშენებლობის ვადად დაფიქსირებულია 8 თვე. სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის №6290182 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სწორად შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის №6290182 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.